ხელშეკრულება №02/1141

"ორისის ბუღალტერიის " ვერსიის ლიცენზიის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(საქართველოს საელჩო კანადაში)

ქ. თბილისი „8" „ივნისი" 2011წ.

ერთის მხრივ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის მოადგილე ლევან დავითულიანის სახით (შემდგომში - "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შპს "ორისი"-ს წარმომადგენელი გენერალური დირექტორის დავით გოთოშიას სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი"), 2005 წლის 20 აპრილის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის (საქართველოს საელჩო კანადაში) საფინანსო და ორგანიზაციული მართვის კომპიუტერული სისტემა "ორის ბუღალტერიის" მრავალვალუტიანი ერთადგილიანი ვერსიის ლიცენზიის შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 993.24 (ცხრაასოთხმოცდაცამეტი ლარი და 24 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი.

3. საქონლის ოდენობა, სახეობა და მიწოდების პირობები

"მიმწოდებელი" უზრუნველყოფს "შემსყიდველისთვის" საფინანსო და ორგანიზაციული მართვის კომპიუტერული სისტემა "ორის ბუღალტერიის" მრავალვალუტიანი ერთადგილიანი ვერსიის ლიცენზიის (1 ცალი) მიწოდებას 2011 წლის 10 ივნისამდე, შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ჯანო ბაგრატიონის №6

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. „მიმწოდებელითან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში;

4.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი;

4.3 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) საბანკო დღის ვადაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 „შემსყიდველი" ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის თაობაზე „მიმწოდებელთან" ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოუწერლობის შემთხვევაში, არ მოხდება თანხის ანაზღაურება, ხოლო საკითხის 30 დღის ვადაში მოუგვარებლობის შემთხვევაში, მიიღება გადაწყვეტილება შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

6. მხარეთა უფლებები

6.1. **„მიმწოდებელს" უფლება აქვს:**

6.1.1. სახელშეკრულებო ღირებულების ფარგლებში მოითხოვოს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადახდა.

6.2. **"შემსყიდველს" უფლება აქვს:**

6.2.1. მოითხოვოს საქონლის მოწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

6.2.2. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

6.2.3. მიიღოს პროგრამის განახლებული ვერსიები ერთი წლის განმავლობაში დამატებითი ანაზღაურების გარეშე. პროგრამის შეძენიდან ერთი წლის შემდეგ "მიმწოდებელი" უზრუნველყოფს ახალი ვერსიების მიწოდებას ფასდაკლებით.

6.2.4. პროგრამის ქსელური ლიცენზიის შემთხვევაში, "შემსყიდველს" აქვს უფლება იმუშაოს ლოკალურ ქსელში ჩართულ შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერზე.

6.2.5. გადასცეს სალიცენზიო უფლებები მესამე მხარეს იმ შემთხვევაში, თუ მესამე მხარე თანახმა იქნება შეასრულოს მოცემული სალიცენზიო ხელშეკრულებების ყველა პირობა. ამ შემთხვევაში, "შემსყიდველმა" უნდა გადასცეს მესამე მხარეს პროგრამა და სხვა თანმხლები მასალა, ხოლო "შემსყიდველის" კომპიუტერზე წაიშალოს ყველა ასლი.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1 დროულად შეასრულოს ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრული პირობები;

7.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. დროულად განიხილოს „შემსრულებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

№ 1

8. საავტორო უფლებები

8.1. კომპიუტერული პროგრამა „ორის ბუღალტერია“ და სახელმძღვანელო წარმოადგენს „მიმწოდებლის“ საკუთრებას და დაცულია კანონით.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს დააინსტალიროს პროგრამა ერთ სერვერზე და ლიცენზიების რაოდენობის მიხედვით შესაბამის სამუშაო ადგილებზე.
8.3. პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოდგენილია „როგორც არის“ ისეთი ფორმით და შეიძლება არ შეესაბამებოდეს მომხმარებლის ყველა მოთხოვნას. „მიმწოდებელი“ არ იძლევა გარანტიას, რომ პროგრამა უშეცდომოა. „მიმწოდებელი“ არანაირ ვითარებაში არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა, ფულად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დანაკარგებზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს პროგრამის გამოყენებით ან გამოყენების შეუძლებლობით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ „მიმწოდებელი“ წინასწარ იყო ინფორმირებული ამგვარი დანაკარგების შესახებ.

9. გარანტია

9.1. “შემსყიდველის” მიერ პროგრამის შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს უფასო სატელეფონო და საკონსულტაციო მომსახურებას თავის ტერიტორიაზე, შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. №6, II სართული, შპს „ორისი“.
9.2. არანაირ ვითარებაში დანაკარგების ანაზღაურების თანხა არ შეიძლება აჭარბებდეს მომხმარებლის მიერ ფაქტიურად გადახდილ პროგრამის ღირებულებას.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

11.1. თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, თუ ეს გამოიწვევს ხელშეკრულების ფასის გაზრდას ან შემსყიდველისათვის ხელშეკრულების პირობების გაუარესებას, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ.

12.2. თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

14. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების შეუსრულებელი ნაწილის ღირებულების 0,07%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ აათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების კონტროლი

15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი;
15.2. "შემსყიდველს" ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი.
15.3 "მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს "შემსყიდველი" კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ "შემსყიდველი" კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით "შემსყიდველი".
15.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

16. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
ა) მხარეთა შეთანხმებით;
ბ) ერთი მხარის მიერ 20 (ოცი) დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;
გ) ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ;
დ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

19. განსაკუთრებული პირობები

19.1. ხელშეკრულება შედგენილია 6 გვერდზე, 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

19.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან" ორი ეგზემპლარი – „შემსყიდველთან".

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
მის: ქ. თბილისი, ჩიტაძის ქ. №4
საქართველოს ეროვნული ბანკი,
კოდი: 220101107
ა/ა №200122900;
ს/კ №203836322

ტელ: 945 000

მინისტრის მოადგილე
ლევან დავითულიანი

„მიმწოდებელი"

შპს "ორისი"
მის: თბილისი, ნავთლუღის №2.

ს/ს „საქართველოს ბანკი"-ს
ცენტრალური ფილიალი,
ბანკის კოდი: BAGAGE22,
ა/ა 3602100303,
ს/კ 206033754
ტელ: 38-43-43

დირექტორი
დავით გოთოშია

საქონლის, მომსახურების, სამუშაოს
მიღება-ჩაბარების აქტი
№01

ქ.თბილისი 8 ივნისი 2011 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური ინსპექტირების ჯგუფის წევრი ა. ლაგვილავა, ადმინისტრაციული დეპარტამენტის ოფიციალურ კორესპონდენციაზე მუშაობის სამსახურის უფროსი ზ. ავალიშვილი და ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების უზრუნველყოფის სამსახურის შესყიდვების მენეჯერი გ.მაკასარაშვილი, მეორეს მხრივ შ.პ.ს „ორისი"-ს დირექტორი დავით გოთოშია ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ 03.06.2011წ. №1/18 წერილისა და 08.06.2011წ. №02/1141 ხელშეკრულების თანახმად მიმწოდებელმა შ.პ.ს ორისი-მა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით 08.06.2011წ. სერია ეა-05 №0719814 და სასაქონლო ზედნადებით 08.06.2011წ. №2821374 საქართველოს საელჩო კანადაში განახორციელა საქონლის მიწოდება,რომლის ღირებულება შეადგენს **993.24 ლარს.**

№	საქონლის დასახელება	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	საბუღალტრო პროგრამა „ორისი" (CD დისკი, წიგნი, გასაღები)	1	993.24	993.24
2	სულ:			993.24

აქტის სისწორეზე ხელს ვაწერთ:

„მიმწოდებელი"
შ.პ.ს. „ორისი"-ი"
დირექტორი
დავით გოთოშია

„შემსყიდველი"
საგარეო საქმეთა სამინისტრო

1. ა ლაგვილავა
2. ზ. ავალიშვილი
3. გ.მაკასარაშვილი

I ნაწილი

2	8	ივნისი	2011

რიცხვი, თვე (სიტყვიერად), წელი

3	შპს "ორისი"	2 0 6 0 3 3 7 5 4	
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება, ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო პირადი ნომერი	

4	"საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო"	2 0 3 8 3 6 3 2 2	
	მყიდველის (მიმღების) დასახელება, ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო პირადი ნომერი	

5	ოპერაციის შინაარსი	მიწოდება: V
		გადაბარება
		დისტრიბუცია

შესაბამისი უჯრა აღნიშნეთ V ნიშნით

6	თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ.6

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

7	თბილისი ჩიტაძის 4

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

8	

საგრანსპორტო საშუალების მარკა და ნომერი

9	მძღოლის პირადი ნომერი

II ნაწილი

საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი *	თანხა*
I	II	III	IV	V
საბუღ.პროგრამა A01M	**3**	**1**	**993.24**	**993.24**

III ნაწილი

გამოიყენება მხოლოდ დისტრიბუციის წესით მიწოდებისას!!!

მიწოდების თარიღი, საათი, წუთი	მიღება: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ხელმოწერა	ჩაბარება: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ხელმოწერა	საქონლის გადაცემის საფუძველი (მეფლანდები, უკან დაბრუნება)
VI	VII	VIII	IX

10	993.24	ცხრაასოთხმოცდაცამეტი ლარი და 24 თეთრი

თანხა სულ (სიტყვიერად)

11	დირექტორი - დავით გოთონია

გამყიდველი (გამგზავნი) - თანამდებობა,სახელი და გვარი

12		შტამპი (ბეჭედი)

ხელმოწერა

13	

მყიდველი (მიმღები) - თანამდებობა,სახელი და გვარი

14		შტამპი (ბეჭედი)

ხელმოწერა

15	8	ივნისი	2011

რიცხვი, თვე (სიტყვიერად), წელი

*დღგ-ს გადამხდელებისთვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელებისთვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

მეწარმეთა ეროვნული ბანკი

დანართი N5

დამტკიცებულია
საქართველოს ფინანსთა მინისტრის
14.12.2005 წ. N54 წესის პრეამბულით

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა

1	N 0719814

ეა-05 სერია

2	ივნისი	2011

იმპორტიორ გამომცემლობის შეფასება
(თვე სრულად, წელი)

3	8	ივნისი	2011

გაბარვის თარიღი
(რიცხვი, თვე სრულად, წელი)

4	გამყიდველი

5	მყიდველი

4.1	2	0	6	0	3	3	7	5	4		

(ჰაერმოძრაველი ბეჭდის ნომერი)

5.1	2	0	3	8	3	6	3	2	2		

(ჰაერმოძრაველი ბეჭდის ნომერი)

4.2	შპს "ორისი"

ფასახელება (სახელი გვარი)

5.2	"საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო"

ფასახელება (სახელი გვარი)

საქონლის (მომსახურების) დასახელება	ზომის ერთეული	მიწოდებული საქონლის რაოდენობა	საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით	ჩათ შორის	
				დღგ-ს თანხა	აქციზ-ს თანხა
1	2	3	4	5	6
საბულ.პროგრამა A01M	3	1	993.24	151.51	0
სულ			**993.24**	**151.51**	**0.00**

6	2821374	7	08.06.2011

საქონლის ჩვენებების N — თარიღი

შენიშვნა: ბრალი ეკისრებოდა - მაგალითად, მეორე ეგზემპლარი - გამყიდველს

ხელმძღვანელს, ან სხვა უფლებამოსილ პირს
ხელმოწერა ბ.ა.

მყიდველს ჩაბარდა ხელშე ეა-05 0719814
ხელმოწერა ბ.ა.